# ორქულიანი გზის დასაწყისი

თბილისი. "ლოკომოტივის" სტადიონი. 4 აპრილი.

"დინამო" (თბილისი) - "ლოკომოტივი" (მოსკოვი) - 3:1 (3:0).

"დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, მესხი.

"ლოკომოტივი": ფროლოვი, ბასალაევი, ინოგამოვი, როდიონოვი (მარკინი), დანილოვი, ბელიაკოვი, პეტროვი, ალიაკბეროვი (კარნახინი), ნაპრეევი, ატამალიანი, შელუდკო.

მსაჯი: ე. ჰიარმსი (ტალინი).

XXXI ჩემპიონატის პირველი მატჩი მოგებულია. დინამოელებს არ გასჭირვებიათ "ლოკომოტივთან" გამარჯვება. მათ მთელი მატჩის განმავლობაში ხელთ ეპყრათ საერთო უპირატესობა და, სიმართლე უნდა ითქვას, მოსკოველები მადლობელი უნდა იყვნენ, რომ ასეთი მოკრძალებული ანგარიშით დამარცსდნენ.. 3:1 - ერთობ მცირე ნაწილია იმისა, რაც მინდორზე ხდებოდა.

მაგრამ ჩვენ ძალიან გვაწუხებს ის ერთო გოლი, რომელიც სტუმრებმა გაიტანეს "დინამოს" კარში. ეს იყო საწყენი გოლი, უსიამოვნო შედეგი იმ მიუტევებელი ლაფსუსისა, რომელიც თბილისელთა დაცვაში იქნა დაშვებული. ეს მოხდა სრულიად მარტივ, ელემენტარულ სიტუაციაში. მიმდინარეობდა 67-ე წუთი. დინამოელთა საჯარიმო მოედანზე "ლოკომოტივის" ერთ-ერთმა ნახევარმცველმა შორიდან დაკიდა მაღალი ბურთი. მის მისაღებად მზად იყვნენ შელუდკო და კანთელაძე. ეს უკანასკნელი ერთი თავით მაღალია შელუდკოზე და ამიტომ არჩევანზე არც უნდა ეფიქრა. მას ბურთი თავით უნდა მიეღო და ეს უმნიშვნელო "ინციდენტიც" იქვე მოისპობოდა, მაგრამ ჩვენმა სტოპერმა რატომღაც ფეხით არჩია თამაში. ამ ამბის შემხედვარე ურუშაძე არ გამოვიდა წინ და კარის ხაზზე დარჩა. შელუდკომ მოასწრო კანთელაძეს და თავით გაგზავნა ბურთი კარისკენ. დარტყმა არ იყო ძლიერი, ურუშაძეს იოლად შეეძლო მისი მოგერიება, მაგრამ მეკარე შეფერხდა, როგორღაც "უხერხულად" გადახტა და გაუშვა გოლი. აი, ასეთი დასანანი ბურთი მიიღო "დინამომ" თავის კარში და გაიფუჭა ბალანსი, მაშინ, როცა მას შეეძლო დიდი ანგარიშით "მშრალად" მოეგო თამაში და უფრო დამაჯერებლად დაეწყო ჩემპიონატი.

ეს გოლი სიმპტომატურია. ჩვენი გუნდის ხშირად ფლობს დიდი უპირატესობას, ბევრ ძალ-ღონეს ახმარს თითოეულ გატანილ ბურთს, მეტოქეს კი საკმაოდ იოლად აძლევს სამაგიეროს გადახდის საშუალებას.

სხვა მხრივ პრეტენზიები ამ მატჩის მიხედვით დინამოელთა მიმართ ბევრი არა გვაქვს. მათ პირველივე წუთებიდან აიღეს ინიციატივა ხელთ და თითქმის განუწყვეტლივ უტევდნენ "ლოკომოტივის" კარს, სადაც 7-8 ფეხბურთელი იყო ჩამჯდარი "ყრუ დაცვაში". კარგი შთაბეჭდილება დატოვა ნახევარდაცვის ხაზმა (ილიადი, ასათიანი, პეტრიაშვილი), იერიშებში ხშირად მონაწილეობდა ძოძუაშვილიც, ხოლო მეტრეველს, ნოდიას და მესხს არ ჰქონდათ აუცილებლობა მინდვრის სიღრმეში დაეხიათ.

რკინიგზელებმა დიდხანს გაუძლეს მეტოქის შტურმს. მათი თამაში მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა ტაქტიკური სიღრმით და მრავალფეროვნებით. გაძლიერებული დაცვა თითქმის არ ტოვებდა საჯარიმო მოედანს. წინ დარჩენილი იყვნენ მხოლოდ ატამალიანი და შელუდკო, რომელთა ეპიზოდური გარღვევები არ წარმოადგენდა პრობლემას თბილისელთათვის.

მიუხედავად ამისა, ანგარიში მხოლოდ 39-ე წუთზე გაიხსნა. ძოძუაშვილმა სწრაფად განვლო თავისი ზონა მარჯვენა ფლანგამდე, რის შემდეგ ცენტრში დაკიდა ბურთი. ფროლოვი შეცდა. წინ გამოსვლის ნაცვლად მან კარში დარჩენა არჩია და ეს შეცდომა მას გოლის ფასად დაუჯდა. ასათიანმა თავით ზუსტად გაიტანა ბურთი შორეულ კუთხეში - 1:0.

42-ე წუთზე მორიგი შეტევა ისევ ძოძუაშვილმა წამოიწყო. მან ზუსტად მისცა ბურთი მეტრეველს, დინამოელთა კაპიტანმა "ესტაფეტური" წესით განაგრძო იერიში და ოსტატურად დაარტყა დაბალ კუთხეში - 2:0.

ტაიმის დამთავრებამდე მოსკოველებს კიდევ ერთხელ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან. კომბინაცია ილიადი-მეტრეველი-მესხი გათამაშებულ იქნა სწრაფ ტემპში, ერთი შეხებით, ზუსტად. მესხმა იგი ლამაზი გოლით დაამთავრა - 3:0.

შესვენების შემდეგ "ლოკომოტივის" კარი ზედიზედ რამდენიმეჯერ გადაურჩა აშკარა გოლს. ძალზე ძლიერად ითამაშა ფროლოვმა, მაგრამ მეკარე უძლური იქნებოდა, რომ ასათიანს, მეტრეველს, მესხს, პეტრიაშვილს, ხურცილავას მეტი სიზუსტე გამოეჩინათ საბოლოოდ დარტყმის მომენტში.

და აი, მაშინ როცა სტადიონი მეოთხე გულს ელოდა, მოხდა ზემოთ აღწერილი დასანანი ამბავი და თბილისის "დინამოს" გამარჯვებას მოაკლდა ის ეფექტი, რომელიც მან ამ მატჩში დაიმსახურა.

მაინც გამარჯვება გამარჯვებაა და დინამოელებმა მომავალ უკიდურესად საპასუხისმგებლო მატჩებში არ უნდა გადაუხვიონ "ორქულიან გზას".

ბ. ქორქია.

"ლელო", 6 აპრილი, 1969 წ.